ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის
საკრებულოს წევრის

სპორტისა და
ახალგაზრდულ საქმეთა
კომისიის თავმჯდომარის

გიორგი ჩაკვეტაძის საქმიანობის

წლიური ანგარიში

(03.12.2021 - 31.10.2022)

შინაარსი

შესავალი 2

საკრებულოს სხდომებში, კომისიებისა და ფრაქციის მუშაობაში მონაწილეობა 2

საკრებულოს სხდომები 2

სატრანსპორტო პოლიტიკა 3

ურბანული პოლიტიკა 5

გარემოს დაცვის პოლიტიკა 6

ინფრასტრუქტურის განვითარების პოლიტიკა 7

ჯანდაცვისა და სოციალური პოლიტიკა 8

თბილისის მართვისა და ეკონომიკის პოლიტიკა 10

კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის პოლიტიკა 11

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია 15

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო" 15

მერიის საქალაქო სამსახურის პროექტების განმხილველი კომისია 16

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის საქმიანობა 16

კომისიის სხდომები 17

კომისიის ინიციატივები 19

ღონისძიებები და შეხვედრები 24

განხილული კორესპონდენცია 27

მოქალაქეთა მიღება 27

დამატებითი ინფორმაცია 27

კომისიის სამდივნო 27

საზოგადოებასთან ურთიერთობა 28

შესავალი

დოკუმენტი წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის, გიორგი ჩაკვეტაძის მიერ 2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 31 ოქტომბრამდე შესრულებული სამუშაოს ანგარიშს.

2021 წლის 2 ოქტომბერს გამართული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების საფუძველზე, 2021 წლის 3 დეკემბერს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (შემდგომში საკრებულო) პირველი სხდომა გაიმართა, რომელზეც საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის „ბ.გ" ქვეპუნქტისა და საკრებულოს №1 განკარგულების შესაბამისად, ცნობილ იქნა **VII** მოწვევის საკრებულოს წევრთა უფლებამოსილება.

კომისიის თავმჯდომარე

საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის №-14 განკარგულების შესაბამისად, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩეულ იქნა **გიორგი ჩაკვეტაძე.**

კომისიის წევრი

2021 წლის 3 დეკემბრის VII მოწვევის საკრებულოს პირველი სხდომის გადაწყვეტილებით, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრი.

ფრაქციის წევრი

2021 წლის 3 დეკემბრიდან ფრაქცია **„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს წევრი.**

საკრებულოს სხდომებში, კომისიებისა და ფრაქციის მუშაობაში მონაწილეობა

საკრებულოს სხდომებში, კომისიებსა და ფრაქციის მუშაობაში მონაწილეობისა და მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაცია:

საკრებულოს სხდომები

საანგარიშო პერიოდში **(03.12.2021-31.10.2022)** ბიუროს **17** და საკრებულოს **15** სხდომა გაიმართა. შედეგად, გიორგი ჩაკვეტაძის თანამონაწილეობით, საკრებულოს მიერ მიღებულია **773** გადაწყვეტილება. მათ შორის, **113** დადგენილება და **649** განკარგულება.

გიორგი ჩაკვეტაძე საანგარიშო პერიოდში დაესწრო ბიუროს **17** და საკრებულოს **15** სხდომას.

საკრებულოს მიერ მიღებული, დედაქალაქისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები და ბიუჯეტის ძირითადი პრიორიტეტები:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა;
- ურბანული განვითარების ხელშეწყობა;
- ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება;
- ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება;
- ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- თბილისის მართვისა და ეკონომიკის პოლიტიკა;
- განათლება, კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა.

დედაქალაქის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის მოცულობა 1 559 866,6 ათასი ლარს შეადგენს.

სატრანსპორტო პოლიტიკა

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სატრანსპორტო პოლიტიკის მიმართულებით, დედაქალაქში დამატებით არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა. გრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და თბილისის ძირითადი სატრანსპორტო დერეფნების გამოკვეთა. ფართოვდება ტროტუარები, ემატება ,,ბასლაინები'' საზოგადოებრივი ტრანსპორტით სწრაფად გადაადგილებისთვის და ველობილიკები. მიმდინარეობს გამზირების რეაბილიტაცია ახალი სტანდარტებით, ასევე, გრძელდება ავტო-პარკის განახლება და მეტროს რეაბილიტაცია. სავალდებულო გახდა ტაქსების რეგისტრაცია, ამოქმედდა ზონალურ-საათობრივი პარკირების სისტემა;

თბილისის ავტოპარკი:

- დღეის მდგომარეობით, დედაქალაქს **760** ერთეული თანამედროვე სტანდარტის, ეკოლოგიურად სუფთა ავტობუსი ემსახურება;

- 2022 წელს მიკროავტობუსების პარკი ახალი, ევროსტანდარტების მქონე **1 000** ერთეული მიკროავტობუსით ჩანაცვლდა და განხორციელდა საზოგადოებრივი ტრანსპორტის სრული ინტეგრირება. მიკროავტობუსებიც ჩაერთნენ ერთიან ელექტრონულ გადახდის სისტემაში, ამასთან, მიკროავტობუსებით მგზავრთა მომსახურებისა და უსაფრთხოების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მიმდინარე წლის 1-ლ თებერვლამდე ეტაპობრივად ჩანაცვლდა ზოგიერთი ძველი მარშრუტი და დაემატა ახალი მარშრუტები. განხორციელებული ცვლილებების შედეგად, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოლოდინის დრო პიკის საათებში საშუალოდ **15** წუთია (ნაცვლად 90 წუთისა). ხოლო ავტობუსების/მიკროავტობუსების ტევადობა **1,5** ჯერ მეტია ადრინდელზე. ამოქმედდა **25** ახალი მარშრუტი, რაც საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურებას უფრო კომფორტულს ხდის, ავტობუსის გაჩერებებზე მოეწყო **148** მგზავრთა მოსაცდელი;

- საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომხმარებლებისთვის ულიმიტო მგზავრობის სისტემა და შესაბამისი ტიპის ბარათები შეიქმნა. ამოქმედდა გადახდის სხვადასხვა პაკეტი. უფასო და შეღავათიანი მგზავრობით მომხმარებელთა რამდენიმე კატეგორია სარგებლობს: პედაგოგები, შშმ პირები, მოსწავლეები, სტუდენტები და ა.შ.;

მეტროს რეაბილიტაცია:

- საანგარიშო პერიოდში თბილისის მეტროს 12 ვაგონს ჩაუტარდა მოდერნიზაცია და დამატებით მიმდინარეობს 12 ვაგონის **შეკეთება. მეტროსადგურებში მგზავრთა მოცდის დრო შემცირდა;**
- მიმდინარეობს მეტროსადგურ **„გოცირიძის"** და **„ვარკეთილის"** რეკონსტრუქცია. დაიწყო მეტროსადგურ **„ავლაბრის"** სარემონტო სამუშაოები. მიმდინარეობს მუშაობა „თბილისის მეტროს სადგურების განახლების" პროექტზე, რაც ჯამში **11** მეტროსადგურისა და ბაქნების სრულ რეაბილიტაციას გულისხმობს. მეტროს სისტემაში ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა ჩატარდა;
- უახლოეს პერიოდში იგეგმება ,,ახმეტელის თეატრისა'' და ,,ვარკეთილის'' ჩასასვლელებში ახალი, დამატებითი ავტომატური საკონტროლო გამშვები პუნქტების - ე.წ ,,ტურნიკეტების'' მოწყობა, რაც 30%-ით გაზრდის მგზავრთა გამტარუნარიანობას;
- დღეის მდგომარეობით, თბილისის მეტროში **23** მოქმედი სადგურია, აქედან **16** განლაგებულია გლდანი-ვარკეთილის, ხოლო, **7** საბურთალოს ხაზზე. სატრანსპორტო კომპანიის ბალანსზეა **192** ვაგონი.

თბილისის ტაქსი:

- ტაქსების რეფორმა 2018 წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყო და ტაქსით მომსახურება ლიცენზიის გარეშე აკრძალულია. 2022 წლის ოქტომბრის მდგომარეობით ტაქსის **16, 886** აქტიური ნებართვაა გაცემული. რეფორმის განხორციელება გრძელდება.

ზონალურ-საათობრივი პარკირების სისტემა:

- ზონალურ-საათობრივი პარკირების სისტემა ამოქმედდა დიდუბის, მთაწმინდის, ჩუღურეთის, საბურთალოსა და ისნის რაიონებში. 2022 წელს სულ მოეწყო 3673 პარკირების ადგილი. უფასო ზონალური პარკირების მისაღებად რეგისტრირებულია 1587 მომხმარებელი.

დაგეგმილი და განხორციელებული სამუშაოები

- დაიწყო ჭკვიანი სატრანსპორტო სისტემის განვითარება. სისტემა მოიცავს მონაცემთა პლატფორმას, საგზაო სენსორებსა და ნაკადების მართვის ტექნოლოგიას. პროექტის ჯამური ღირებულება **47** მლნ. ევროს შეადგენს და ის მომდევნო **4** წლის განმავლობაში განხორციელდება;
- ქვეითთა უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების მიზნით, შეიცვალა შუქნიშნის **138** მოდული, სხვადასხვა ნაკლოვანებები აღმოიფხვრა შუქნიშნის **66** ობიექტზე, დამონტაჟდა

საგზაო მოძრაობის კონტროლისა და მართვის შუქნიშნის **80** ობიექტი და **1000-ზე** მეტი საგზაო ნიშანი. კამერების და კონტროლირების (თანმდევი მომსახურებით) და მათი მართვის ცენტრთან მიერთებისთვის დამონტაჟდა შუქნიშნის **17** ახალი ობიექტი, დამონტაჟდა **150** ერთეული ვიდეო კამერა. **400**-მდე ლოკაციაზე დაიხაზა 14 000 კვ.მ. ქვეითთა გადასასვლელი (ზებრა);

- პრიორიტეტად იქცა ეკოტრანსპორტი და გადაადგილების ისეთი საშუალებები, როგორიცაა ველოსიპედები და ელექტროსკუტერები. ამ მიზნით 7 კმ. ველობილიკი მოეწყო;
- ქალაქის მასშტაბით, **11** კმ.-ზე დაიხაზა ავტობუსის განცალკევებული ზოლი, დახაზვითი სამუშაოები განხორციელდა თამარ მეფის გამზირზე, წყნეთის გზატკეცილზე, მიმდინარეობს ქეთევან დედოფლისა და მელიქიშვილის გამზირების სრული რეაბილიტაცია;
- ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტის ხელშეწყობის მიზნით სხვადასხვა ლოკაციაზე დამონტაჟებულ **45** ელექტროდამტენს კიდევ **23** დამტენი დაემატა. ასევე, კერძო სექტორის ჩართულობით იგეგმება **30** ელექტროდამტენის დამონტაჟდება, ხოლო **20** ერთეულის დასავლეთ საქართველოს მიმართულებით;
- თბილისში **12** პრობლემური კვანძი წესრიგდება.

ურბანული პოლიტიკა

ახალი გენერალური გეგმით გრძელდება ქალაქის მდგრადი განვითარება. აღდგა თბილისის ისტორიული ნაწილის დამცავი ზონა, მკაცრად კონტროლდება მშენებლობის ნებართვები სკვერის, პარკისა და სპორტული სივრცეების ტერიტორიაზე, შეზღუდულია განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტება. საანგარიშო პერიოდში ურბანული პოლიტიკის მიმართულებით, განხორციელდა შემდეგი მნიშვნელოვანი ღონისძიებები:

- 2022 წელს, უკეთესი საცხოვრებელი გარემოს შექმნის მიზნით, **1 731 651 კვ.მ.** მიწის ფართობზე დამუშავდა განაშენიანების რეგულირების გეგმა, რომელიც 5 მილიარდი ლარის საინვესტიციო შესაძლებლობას იძლევა;
- ავარიული მრავალბინიანი სახლების ჩანაცვლების პროგრამაზე **20** მლნ. ლარია გამოყოფილი. საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის **№10-48** დადგენილებით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული სახლების ჩანაცვლების წესის ფარგლებში მუნიციპალიტეტი ამ ეტაპზე **12 ავარიული შენობის** ჩანაცვლების პროექტზე მუშაობს, ხოლო **25-მდე** შენობის ჩანაცვლების პროექტი განხილვის სტადიაშია;
- **პირველი საპილოტე პროექტის მონაწილე სამგორის რაიონში მდებარე მეოთხე კატეგორიის** ავარიულობის მქონე საცხოვრებელი სახლია. პროექტის სადემონტაჟო-სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით ტენდერი დასრულებულია, დემონტაჟი დაიწყება მიმდინარე წელს. სამშენებლო სამუშაოები მომდევნო ორი წლის განმავლობაში

გაგრძელდება. პროექტის ფარგლებში, უნდა დაკმაყოფილდეს 36 ოჯახი, რომლებიც მუნიციპალიტეტს უკვე გაყვანილი ჰყავს ქირით;

- დასრულდა გუდიაშვილის მოედნის და მიმდებარე **30-მდე** შენობის (აქედან 22 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი) სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- დასრულდა ანტონ კათალიკოსის ქუჩაზე, N30-N32-ში მდებარე საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია;
- მსხვილი არეალების რეაბილიტაციის მიმართულებით, პროექტ „ახალი ტფილისის'' ფარგლებში გრძელდება გუდიაშვილის მოედანზე არსებული საცხოვრებელი სახლების სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ისტორიულ-კულტურული ძეგლების და სხვა შენობების რეაბილიტაციის ფარგლებში, მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები: წინამძღვრიშვილის N1-ზე, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის, ორბელიანის N19-23, რომის N4-ზე, ფურცელაძის N30-32-34-ზე, თაბუკაშვილის N46, ერეკლე მეორის N6-7, ანტონ კათალიკოსის N34 და სხვა;
- გრძელდება ავტოფარეხების რეკრეაციული სივრცეებით ჩანაცვლების პროექტი;
- მხატვრობის მხარდაჭერის ფარგლებში, ჯამში, უკვე **100-მდე** კედელია მოხატული.

გარემოს დაცვის პოლიტიკა

გარემოს დაცვის მიმართულებით, დედაქალაქში აღარ ხორციელდება არც ერთი ინფრასტრუქტურული პროექტი და არ გაიცემა არც ერთი ნებართვა, თუკი გარემოს დაცვითი სტანდარტები არ არის დაცული. მიმდინარეობს თბილისის ზღვის სანიტარული დაცვის ზონების ეფექტიანი კონტროლი. გრძელდება ატმოსფერული ჰაერის მყარი ნაწილაკებით დაბინძურების პრევენციისთვის აუცილებელი სამუშაოები. **საანგარიშო პერიოდში ამ მხრივ:**

- გამწვანებული ტერიტორიების აღდგენა-მოწყობის სამუშაოების ფარგლებში **დასრულდა** შემდეგი პროექტები:
  - ქეთევან დედოფლის გამზირზე „ფარნავაზის სკვერი'';
  - რიგის სკვერის გაგრძელებაზე არსებული ბულვარი;
  - სასტუმრო „მეტეხის'' მიმდებარე ფერდობი;
  - მზიურის პარკში მედიათეკის მიმდებარე თარგი;
  - ამირეჯიბის გზატკეცილზე არსებული 13 ივნისს დაღუპულთა მემორიალი;
  - ლიბანის სკვერი;
  - ვარკეთილის ხევის პარკი;
  - ვაკის პარკი;
  - ვარძიის სკვერისა და მიმდებარე ბულვარის აღდგენა-მოწყობა.
  - **მიმდინარეობს:**
    - გეგეშიძის ბაღის, პუშკინის სკვერის, ივერთუბნის დასახლებაში **5 000** კვ.მ. ფართობზე პარკისა და ფილარმონიის წინა ტერიტორიის განახლება;
    - „დიღმის ჭალების'' მოწყობის სამუშაოები;

  - ასევე, იპოდრომის ტერიტორიაზე საქალაქო მნიშვნელობის ცენტრალური პარკის მოწყობა, რომელსაც ფონდი „ქართუ" ახორციელებს.
- დაგეგმილია ვერის ბაღის სრული რეაბილიტაცია;
- გრძელდება ავტოპარკის განახლება ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტით, რაც ხელს უწყობს ჰაერის დაბინძურების მაჩვენებლის კლებას;
- სხვადასხვა მისამართებზე **39** ერთეული საბავშვო ატრაქციონი დამონტაჟდა;
- განხორციელდა **27 825** მწვანე ნარგავის მოვლა-პატრონობა. სანერგეში განთავსდა **61 482** მცენარე;
- სანიტარიული ჭრის ფარგლებში 1399 ერთეული ხე მოიჭრა, მოხდა 5473 ერთეული ხის სხვლა-ფორმირება, დამუშავდა 469 ერთეული ავარიული ხე;
- **39 ჰა.** ფართობზე განხორციელდა ტყის ბუნებრივი განახლების ღონისძიებები. გრძელდება მთაწმინდის ურბანული ტყის განაშენიანების პროექტი;
- 25 ერთეული ,,თბილისის'' წარწერის მქონე თუჯის, 13 ერთეული ლითონის და 124 ერთეული ხის საპარკე სკამი განთავსდა სხვადასხვა მისამართზე;
- მომზადდა „თბილისის მყარი მუნიციპალური ნარჩენების სტრატეგია", რის შედეგადაც, თბილისში ბევრად მარტივი გახდება ნარჩენების ეფექტიანად მართვა;
- დედაქალაქში 186 ერთეული დეკორატიული ურნა განთავსდა. ქეთევან წამებულისა და მელიქიშვილის გამზირებზე მოეწყო მიწისქვეშა კონტეინერები;
- EBRD-ის სესხის ფარგლებში თბილისის ნარჩენების შემგროვებელი ავტოპარკი 74 ერთეულით განახლდა;
- **გრძელდება თბილისის ზოოლოგიური პარკისა და ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა**. ზოოლოგიურ პარკში გრძელდება ვოლიერის „აფრიკული სავანა" მშენებლობა. ბოტანიკურ ბაღში განხორციელდა 143 მცენარის შესყიდვა და დარგვა.

ინფრასტრუქტურის განვითარების პოლიტიკა

საანგარიშო პერიოდში ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქციის მიმართულებით მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდა:

- რუსთაველი-მთაწმინდის დამაკავშირებელი საბაგირო გზის მშენებლობა-რეაბილიტაცია 2021 წელს დაიწყო და უახლოეს პერიოდში დასრულდება;
- კაპიტალურად რეაბილიტირდა ჯამში **67 195.9 კვ.მ.** ფართობის გზის საფარი; რამდენიმე საკვანძო გამზირი და გზატკეცილი. მათ შორის: **ქეთევან დედოფლის გამზირი, მელიქიშვილის გამზირი, მანჯგალაძის ქუჩა, კრწანისის ქუჩა და კრწანისის მეორე შესახვევი, მირიან მეფის ქუჩა, თამარ მეფის გამზირისა და ბალანჩინის ქუჩის სარეკონსტრუქციო სამუშაოები, მაჭავარიანის ქუჩა და სხვა**;
- „თბილისის მუნიციპალურმა ლაბორატორიამ" სპეცტექნიკა შეიძინა, რომელიც მიწისქვეშა კომუნიკაციების დაზიანების დროს გამოიყენება;

- დასრულდა მეტეხის ხიდის სრული რეაბილიტაცია, რომლის ფარგლებშიც მიწისქვეშა კომუნიკაციები სრულად შეიცვალა, გზის სავალი ნაწილის ორივე მხარეს ჰიდროიზოლაცია მოეწყო და ასფალტო-ბეტონის ახალი საფარი 2 300 კვ.მ ფართობზე დაიგო. ასევე, მოეწყო და ბუნებრივი ქვის ფილებით მოპირკეთდა ტროტუარები;
- თბილისის, მასშტაბით სანიაღვრე/სადრენაჟე, წყალარინების აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები ჩატარდა საბურთალოს, მთაწმინდის, კრწანისის, სამგორისა და ჩუღურეთის რაიონებში; ასევე, წყალარინებისა და წყალმომარაგების კუთხით დაიწყო მაშტაბური პროექტი ივერთუბნის დასახლებაში, რომელიც **7** მლნ. ლარით არის დაფინასებული;
- თბილისის მასშტაბით საყრდენი კედლები მოეწყო **9** მისამართზე;
- გამაგრების სამუშაოები ჩაუტარდა **28** ობიექტს;
- გარე განათების გაუმჯობესების მიზნით საანგარიშო პერიოდში ექსპლოატაცია გაეწია **152 205** სანათს, მათ შორის: გარე განათება – **134 469** სანათი, მხატვრული მინათება – **17 736** სანათი;
- ქუჩების დასახელებისა და ნუმერაციის აღმნიშვნელი **4 897 ცალი** აბრა განთავსდა.

ჯანდაცვისა და სოციალური პოლიტიკა

საანგარიშო პერიოდში ხორციელდებოდა შემდეგი პროგრამები:

- დაავადებათა სკრინინგი: ძუძუს კიბოს, საშვილოსნოს ყელის, პროსტატის, კოლორექტალური კიბოს სკრინინგი, ფარისებრი ჯირკვლის კიბოს პროგრამა დაფინანსდა **1, 498 850** ათასი ლარით**;**
- აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის პროგრამა - თვის განმავლობაში **1 500** ბავშვსა და მოზარდს ემსახურება;
- „ტრანსპლანტაციის პროგრამის" ფარგლებში ღვიძლის გადანერგვის **5** და ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის სხვადასხვა მომსახურების **101** შემთხვევა დაფინანსდა;
- გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების პროგრამით სულ **1 084 753,2** ათასი ლარის მედიკამენტები დაფინანსდა;
- გრძელდება მედიკამენტების 500-ლარიანი ვაუჩერების ყოველწლიური პროგრამა თბილისში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი პენსიონერებისთვის, პროგრამა წარმატებით ფუნქციონირებს - **17 685**–მა პენსიონერმა ისარგებლა;
- შშმ ბავშვთა და მოზარდთა საკურორტო მომსახურების პროგრამა - **800** ლარის ღირებულების **2 300**–მდე საკურორტო ვაუჩერი გაიცა;
- გრძელდება მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირთა დახმარების პროგრამა - 900 ლარიან დახმარებას წელიწადში **623** ბენეფიციარი იღებს;
- მიმდინარეობს **7** საბავშვო ბაღის მშენებლობის სამუშაოები;
- საანგარიშო პერიოდში ისნის რაიონში **N88** საბავშვო ბაგა-ბაღი გაიხსნა, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება **230** ბავშვზეა გათვლილი, სადაც 50-მდე პირია დასაქმებული;

- სასკოლო მზაობის ასაკის **30** უკრაინელი ბავშვისთვის თბილისის **N93** საბავშვო ბაღში კიდევ ერთი „საბავშვო სივრცე'' მოეწყო.

სოციალური მიმართულებით ახალი პროგრამა დაინერგა:

მერია მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასულ 18-21 წლის მოქალაქეებს, ახალგაზრდული საცხოვრისის მომსახურებას არამატერიალიზებული სახის 500 ლარიანი ვაუჩერით დაუფინანსებს. ახალი პროგრამის ბენეფიციარები არიან თბილისში რეგისტრირებული 18-დან 21 წლამდე ასაკის პირები, რომლებიც სრულწლოვანების ასაკამდე ბოლო ერთი წელი თბილისის ტერიტორიაზე მოქმედი მცირე საოჯახო ტიპის სახლის ბენეფიციარები იყვნენ და 18 წლის შესრულების გამო დატოვეს ის და საცხოვრისს საჭიროებენ.

თბილისის მერია სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვებისა და მოზარდებისთვის აფინანსებს პროგრამებს:

- მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში;
- მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლებში;
- ხელოვნების სკოლებში;
- სპორტულ სკოლებსა და საცურაო აუზებზე.

  პროგრამებით ყოველწლიურად 6 143 ბავშვი და მოზარდი სარგებლობს.

გარდა ზემო აღნიშნულისა:

- გამგეობების სხვა სოციალური დახმარებების პროგრამებით 9 723 მოთხოვნა დაკმაყოფილდა;
- საანგარიშო პერიოდში ბინის ქირის საკომპენსაციო თანხებით დახმარება გაეწია თბილისის ათ რაიონში მცხოვრებ 2 073 ოჯახს;
- უსახლკარო ოჯახებისთვის საცხოვრებელი ფართის შეძენის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალურ თავშესაფარს პირდაპირი განკარგვის წესით **55 ბინა** გადაეცა;
- კიდევ **400-ზე მეტ ოჯახს** საცხოვრებელი ფართები სიმბოლურ ფასად 1 ლარად დაუკანონდა;
- გრძელდება კოოპერატიული ბინათმშენებლობებით დაზარალებული ოჯახების საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილება. **350-ზე მეტ** ოჯახს საკუთრების დამადასტურებელი მოწმობები გადაეცა.

აქტიურად ხორციელდება მუშაობა დედაქალაქში არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების პრობლემის გადაწყვეტისთვის:

- ხელშემწყობი ღონისძიებები განხორციელდა სამშენებლო კომპანიების **„ცენტრ პოინტი''**, **,,იბა-დიდგორი''**, **,,ქოზი ჰოუმ თბილისი'' და სხვა აფილირებული კომპანიების** დაუმთავრებელი ობიექტებისთვის;

- იდენტიფიცირებულია დამატებით არაერთი **დაუმთავრებელი მშენებლობა და დაზარალებული ოჯახი;**
- 40-ზე მეტი **დაუმთავრებელ სამშენებლო ობიექტზე** - გაცემულია მხარდამჭერ ღონისძიებებზე რეკომენდაცია, დაკმაყოფილებული **500-მდე** დაზარალებული ოჯახი.

თბილისის მართვისა და ეკონომიკის პოლიტიკა

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული და მიმდინარე პროექტები:

- თბილისის მუნიციპალური ელექტრონული სისტემების მოხმარების გამარტივების მიზნით დაიგეგმა სხვადასხვა ონლაინ აპლიკაციის მომხმარებელთა გაერთიანება ერთ მომხმარებლად, რაც ელექტრონულ სისტემებში მოქალაქეთა მუშაობას ამარტივებს;
- გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 142,129.8 ათასი ლარი, მათ შორის: საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები - 141.5 ათასი ლარი, ხოლო სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები - 141,988.3 ათასი ლარი.

მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით:

- ბიზნესის (ტურიზმის სექტორი) მხარდაჭერის მიზნით, დაწესდა შეღავათები ქონების გადასახადის ნაწილში;
- საკრებულომ დაამტკიცა პროგრამა პანდემიის გამო მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით, **სარგებლობის უფლებით გადაცემული უძრავი ქონების მიმღებ პირებს მიეცათ ხელშეკრულების მოქმედების ვადის დამატებით 2 (ორი) წლით ან 2024 წლის 31 დეკემბრამდე გაგრძელების შესაძლებლობა.**

პროექტები ეკონომიკურ სექტორთან ერთად:

- საანგარიშო პერიოდში მოეწყო გამოფენა-გაყიდვა „თბილისური საშობაო ბაზარი'' და სოციალურ საწარმოთა ნაწარმის გამოფენა-გაყიდვა;
- ქართული კომპანიებისთვის ახალი შესაძლებლობების გაჩენის, ინვესტიციების მოზიდვისა და ევროპის ქვეყნებთან ბიზნესკავშირების გაღრმავების მიზნით, თბილისმა უკვე მესამედ **„ანგელოზ ინვესტორთა"** საერთაშორისო სამიტს უმასპინძლა.
- ჩატარდა სემინარი - „გიდები თბილისისთვის";
- სოციალურ საწარმოთა ალიანსის ორგანიზებითა და თბილისის მერიის და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, სოციალური მეწარმეობის პროდუქციის მაღაზია/შოურუმი გაიხსნა. ,,ესკი'' სოციალური კონცეფციის უნიკალური მაღაზიაა, რომელმაც პირველად გააერთიანა ქართველი სოციალური მეწარმეების პროდუქცია ერთ სივრცეში. ამ ეტაპზე, 20 სოციალური საწარმოს პროდუქციაა წარმოდგენილი და ეს მონაცემი მზარდია;

- **უკრაინიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა მხარდაჭერის ფარგლებში,** უკრაინელი მოქალაქეების საცხოვრებელით და კვებით უზრუნველყოფის მიზნით, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან **2022 წლის მარტის თვიდან აგვისტოს თვის ჩათვლით** სასტუმროების მომსახურების ხარჯები **14,600.0** ათასი ლარით ანაზღაურდა.

ურბანული და არქიტექტურის მიმართულებებით:

- მშენებლობის ნებართვა (ყველა სტადიის და ქმედების) გაიცა **4328 განაცხადზე.**

მუნიციპალური ინსპექციის რეფორმის შედეგად:

- გაიზარდა ჯარიმები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე - სამშენებლო დარღვევებზე, გარე ვაჭრობის, რეკლამებისა და აბრების კანონმდებლობის დარღვევით განთავსებისა და გარემოს დანაგვიანების კუთხით;
- ზედამხედველობა განხორციელდა **1, 400-მდე ობიექტზე;**
- გრძელდება გარე ვაჭრობის აღკვეთის ღონისძიებები და გარე მოვაჭრეებისთვის ალტერნატიულ სივრცეების შეთავაზება;
- ადმინისტრაციული სახდელების ოდენობა შეადგენს 33,926.9 ათას ლარს;
- დაიწყო ორი ახალი პროექტი: კორუფციული რისკების შეფასების სისტემის დანერგვა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში თანამშრომელთა ჩართულობის ზრდის უზრუნველყოფა, რომელსაც განახორციელებს მერიის შიდა აუდიტი;
- საქართველოს პარლამენტმა მუნიციპალიტეტის საკანონმდებლო ინიციატივას **საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში** მხარი დაუჭირა. კანონში შეტანილი ცვლილების მიხედვით მშენებლობის ნებართვის მფლობელები, საეტაპო ოქმის დადგენილი წესით წარუდგენლობისთვის განსაზღვრული პასუხისმგებლობისაგან და გადაუხდელი ჯარიმის/საურავის თანხის გადახდისგან 2023 წლის 1 იანვრამდე თავისუფლდებიან.

შეღავათები დაწესდა ეკონომიკური სექტორისთვის:

- გრძელდება სამშენებლო და ფინანსური შეღავათები დაუსრულებელი მშენებლობებისთვის;
- სამშენებლო ამნისტიის პაკეტი (მიმდინარე).

კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის პოლიტიკა

- **კულტურის** სფეროს განვითარების ხელშეწყობის ფარგლებში დაფინანსდა სახელმწიფო, სახალხო და რელიგიური დღესასწაულებისა და სხვა საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებები. თეატრალური ხელოვნების განვითარებისა და თავისუფალი თეატრალური პროექტების ხელშეწყობის მიზნით **11** ღონისძიება. ფესტივალების,

კონკურსების, საიუბილეო და გაცვლითი ღონისძიებების ხელშეწყობის მიზნით **56** ღონისძიება;

- UNESCO-მ თბილისი 2021 წლის **წიგნის დედაქალაქად დაასახელა,** რომლის ფარგლებში თბილისში არაერთი ღონისძიება მოეწყო, მიმდინარე წელს იუნესკოს წიგნის მსოფლიო დედაქალაქის სტატუსი თბილისმა ქალაქ გვადალახარას გადასცა;
- სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის მე-8 ხელოვნების სკოლას, მერაბ კოსტავასა და ილია ჭავჭავაძის მემორიალურ სახლ-მუზეუმებს;
- განხორციელდა 80-მდე კულტურულ-შემეცნებითი პროექტი, 18-მდე საპრემიერო სპექტაკლი;
- თემატური ახალგაზრდული ფესტივალების, საზაფხულო ახალგაზრდული პროგრამების მხარდასაჭერად დაფინანსდა 20-ზე მეტი ღონისძიება;
- შემუშავდა ახალგაზრდების სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამა;
- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: თბილისის სტარტაპ ბიუროს პროექტი - „ახალგაზრდული შეხვედრების მარტის სერია"; მზის შვილების პროექტი „ინკლუზია ნიშნავს"; „საზოგადოებრივი აზრის" პროექტი - ,,ბანაკი კოვიდ პანდემიის პერიოდში ჩართული მოხალისე სტუდენტებისთვის"; საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის პროექტი - „სტუდენტური ბანაკი 2022"; ახალგაზრდული ასოციაცია დრონის პროექტი - USE IT თბილისი; „ედუ ლაბი ჯეორჯიას" პროექტი - „გრაფიკული დიზაინის ინკლუზიური სკოლა" და სხვა.
- საერთაშორისო თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში, „თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანებამ" ევროკომისიის Erasmus+ პროგრამის ფარგლებში განახორციელა არაერთი ღონისძიება, მათ შორის დედაენის ბაღში მოეწყო გამოფენა - ,,ევროპა 2022"; Erasmus+ საინფორმაციო ცენტრისა და ევროპის სოლიდარობის კორპუსის ორგანიზებით განხორციელდა ევროპის დღის აღსანიშნავი ღონისძიება; ცენტრმა უმასპინძლა ევროპის ახალგაზრდული ბარათის ასოციაციის დირექტორს. არაფორმალური განათლების პროგრამისა და ახალგაზრდული ბანაკების და სკოლების ხელშეწყობის ფარგლებში სხვადასხვა აქტივობა განხორციელდა;
- მუნიციპალური ორგანიზაციების საგანმანათლებლო და ახალგაზრდულ სერვისებში მონაწილეობა მიიღო 10 000 ახალგაზრდამ;
- **პროგრამა „მერიასთან ერთად"** - თბილისის მერიისა და თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანების მხარდაჭერით გაიმართა მასშტაბური საქველმოქმედო ღონისძიება **,,გარბენი უკრაინისთვის",** რომელშიც ცენტრის მხარდაჭერით ჩაერთო 1000 მოქალაქე. სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდობის საერთაშორისო ფონდის ორგანიზებით კახეთში ჩატარებული სპორტული აქტივობის ფარგლებში მიღებული თანხა სრულად გადაირიცხა უკრაინელი ხალხის მხარდასაჭერად;
- მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრს თბილისის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანებამ 13 000-ზე მეტი წიგნი უსასყიდლოდ გადასცა;

- პროგრამის „ისწავლე და დასაქმდი'' ფარგლებში დაფინანსდა 4 პროფესიული კოლეჯის წარმოდგენილი პროექტები - ამ პერიოდში პროგრამაში თბილისში რეგისტრირებული სამსახურის მაძიებელი 1 000-მდე მოქალაქე ჩაერთო;
- **საანგარიშო პერიოდში სპორტული ღონისძიების ფარგლებში დაფინანსდა 32 სპორტული ფედერაცია და განხორციელდა 200-ზე მეტი პროექტი, პროექტებში მონაწილეობა მიიღო 22 000-მდე ბენეფიციარმა;**
- მასობრივი სპორტის განვითარებისა და ახალგაზრდების სპორტულ ცხოვრებაში ჩართულობის გაზრდის მიზნით, განხორციელდა 34 სპორტული ორგანიზაციისთვის საჭირო ინვენტარითა და სპორტსმენთა ეკიპირებით უზრუნველყოფა;
- 2020-2021 წელს მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატზე მიღწეული, ასევე ოლიმპიურ და პარალიმპიურ თამაშებში მიღწეული წარმატებისთვის დაჯილდოვდა 64 თბილისელი სპორტსმენი, თბილისის 2 ქალთა გუნდი და ამპუტანტთა ფეხბურთის გუნდი;
- ხელშეწყობის მიზნით დაფინანსდა ა(ა)იპ „წყალბურთელთა გუნდი „თბილისი'' და რაგბის კლუბი „ხვამლი'';
- **სპორტული ინფრასტრუქტურული პროექტები,** მიმდინარეობს: დიდ დიღმისა და ვარკეთილის მულტიფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრების სამშენებლო სამუშაოები; ლადო ასათიანის ქ. N50-ში სპორტული დარბაზის სამშენებლო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და სამშენებლო სამუშაოების ნაწილი; ა(ა)იპ ,,ტანვარჯიშის განვითარების სპორტული ცენტრის'' აკრობატიკის დარბაზის სარემონტო სამუშაოების ნაწილი; ა(ა)იპ ისანი-სამგორის კომპლექსური სპორტული ცენტრის ვარკეთილის სპორტული დარბაზის სარემონტო სამუშაოები; ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის ფეხბურთის სპორტული ცენტრისთვის „იმედი'' ტექნიკური ინვენტარით აღჭურვა; მზიურის სპორტული მოედნის კამერებით/ავეჯით აღჭურვა; სოფელ დიდ ლილოში სპორტული კომპლექსის სამშენებლო სამუშაოები; ა(ა)იპ ,,მარინა ცერცვაძის სახელობის ფიგურული სრიალის სპორტული ცენტრის'' სარემონტო სამუშაოები; ა(ა)იპ ,,ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრის'' გლდანის საცურაო აუზისა და ნაძალადევის სპორტული კომპლექსის სარემონტო სამუშაოები;
- სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქციის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ ფეხბურთის სპორტული ცენტრის „იმედი'' მზიურის მიმდებარედ არსებული ფეხბურთის მოედნის სამშენებლო სამუშაოები; სამგორის რაიონში, ვარკეთილის ზემო პლატო, ბერიაშვილის ქ. N6-ის მიმდებარედ სპორტული მოედნის სამშენებლო სამუშაოები; ვარკეთილის დასახლება მე-2 მიკრო რაიონი, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა N41-ის მიმდებარედ სკეიტ-მოედნის მოწყობის სამუშაოები;
- პარასპორტის განვითარების ხელშეწყობა, ცენტრში ვითარდება 15 პარასპორტული სახეობა, მიმდინარე პერიოდში საერთაშორისო შეკრებებსა და შეჯიბრებებში მონაწილეობა მიღებული აქვს 5 ქალ და 12 მამაკაც პარასპორტსმენს; საწვრთნელ-სარეაბილიტაციო პროცესში ჩართულია თვეში 228 პარასპორტსმენი და 20 მწვრთნელი;

- მატერიალური მხარდამჭერი პროექტების ფარგლებში, ფინანსური მხარდაჭერა გაეწია სპორტულ დაწესებულებებში მომუშავე სპორტის სხვადასხვა სახეობის 348 მწვრთნელ - მასწავლებელს, რომლებიც სპორტის 49 სახეობაში ავარჯიშებენ მოზარდებს;
- ასევე, სპორტის 32 სახეობაში, 18 წლამდე ასაკის სხვადასხვა ჩემპიონატში გამარჯვებული თვეში 236 წარმატებული სპორტსმენი ბავშვი წახალისდა.

ახალგაზრდობისა და სპორტის მიმართულებით ახალი პროგრამები დაინერგა:

- ამოქმედდა ახალი პროგრამა, **„ახალგაზრდების სოციალური მეწარმეობის პროექტების დაფინანსება"**, რომელიც ითვალისწინებს ახალგაზრდების მიერ დაფუძნებული სოციალური საწარმოების ფინანსურ მხარდაჭერას, რაც ახალგაზრდების სოციალურ-ეკონომიკურ გაძლიერებას ემსახურება. გამოცხადდა კონკურსი განცხადების მიღების მიზნით, შემოვიდა 30 საპროექტო განაცხადი და დაფინანსდა 17 პროექტი;
- დაიწყო ახალგაზრდული პროგრამა 18-დან 29 წლამდე ახალგაზრდებისთვის, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციის, აქტიური დასვენების, გართობისა და რეკრეაციის ხელშეწყობის მიზნით. პროგრამაში 5 000-მდე ახალგაზრდა ჩაერთო;
- სოციალურად დაუცველ სტუდენტებთან ერთად მრავალშვილიანი ოჯახის წევრი და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე სტუდენტები, სწავლის სამივე საფეხურზე ფინანსდებიან. გაზაფხულის სემესტრში სოციალურად დაუცველი 1 294, შშმ - 20 და მრავალშვილიანი ოჯახის წევრი - 112 სტუდენტი დაფინანსდა; წარჩინებული მაგისტრანტების წახალისების კომპონენტის ფარგლებში 564 წარჩინებულ მაგისტრანტზე გაიცემა სტიპენდია. 1-ლ სექტემბერს გამოცხადდა რეგისტრაცია 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის სწავლის დაფინანსებაზე. ამ ეტაპზე, შემოსულია 300-ზე მეტი განცხადება;
- ბიუჯეტს დაემატა ახალი პროგრამა **„სპორტი უფროსი თაობისთვის"** 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირებისთვის, რაც მოიცავს საცურაო აუზებსა და სატრენაჟორო დარბაზებში ვიზიტის დაფინანსებას. პირველ ეტაპზე, პროგრამით სარგებლობს 300-მდე ბენეფიციარი;
- ასევე, მირზა გელოვანის სახელობის ბიბლიოთეკაში „60+ კლუბი ჯანსაღი და აქტიური ცხოვრებისთვის" გაიხსნა; კლუბი თბილისის მუნიციპალური სერვისია და განკუთვნილია 60 წელს მიღწეული ადამიანებისთვის, რომელთაც სურთ, გაიუმჯობესონ ცხოვრების ხარისხი, შეინარჩუნონ ჯანმრთელობა და იყვნენ საზოგადოების აქტიური წევრები.

მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში საგანმანათლებლო და შემოქმედებით საქმიანობაში **5 000-მდე მოსწავლე/ახალგაზრდაა ჩართული. აქედან 1 200-მდე ახალგაზრდა უსასყიდლოდ იღებს სერვისს.** სასახლის რეაბილიტირებულ ნაწილში გაუმჯობესდა სასწავლო და სამუშაო გარემო. სერვისების მიწოდება ყველა უბანში თანაბრად ხდება. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლების **ცხრა ფილიალი** ფუნქციონირებს, რომელთა რეაბილიტაციაც იგეგმება.

დედაქალაქის სხვადასხვა რაიონში ფუნქციონირებს **32 სახელოვნებო სკოლა. თვეში საშუალოდ 2 575 სოციალურად დაუცველი მოსწავლე სრულიად უფასოდ სწავლობს.**

საანგარიშო პერიოდში რაიონული გამგეობების მიერ კეთილმოწყობის ღონისძიებების, სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობის ფარგლებში განხორციელდა **109** სპორტული მოედნის შეკეთება/რეაბილიტაცია და **4** ახალი სპორტული მოედნის მშენებლობა. ასევე, სხვადასხვა მისამართზე მოეწყო ფიტნეს ტრენაჟორების **10** კომპლექტი.

კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების ფარგლებში რაიონებში სულ მოეწყო 62 ღონისძიება, აქედან ახალგაზრდული - 7, სპორტული - 39, კულტურული - 16.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია

საანგარიშო პერიოდში კომისიას ჩატარებული აქვს **16** სხდომა, განხილულია **493** საკითხი, განკარგულების **390** და დადგენილების **89** პროექტი, ასევე **14** სხვადასხვა საკითხი.

ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო''

საანგარიშო პერიოდში ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს'' ჩატარებული აქვს **23** სხდომა, განხილულია **42** საკითხი.

უმრავლესობის ფორმატში ფრაქციის მიერ არაერთი სამუშაო შეხვედრა გაიმართა, საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებულ თანამდებობის პირებთან, სამუშაო ფორმატის შეხვედრებზე განიხილებოდა სხვადასხვა პოლიტიკური საკითხი და ქალაქში მიმდინარე მნიშვნელოვანი პროექტები, მათ შორის:

- ახალი სამარშრუტო ხაზების შესახებ;
- გადახდის სააბონენტო სისტემის შემოღების შესახებ;
- ქაოტური განაშენიანების აღკვეთის გზების და უკანონო მშენებლობის წინააღმდეგ მიმართული კანონიერი ბერკეტების შესახებ;
- საკრებულოს სხდომაზე განსახილველი საკითხების შესახებ;
- დედაქალაქში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ;
- დედაქალაქის 2022 წლის ბიუჯეტის ცვლილებების შესახებ;
- ავარიული კორპუსების ჩანაცვლების პროგრამის შესახებ;
- სატრანსპორტო პოლიტიკის ფარგლებში დაგეგმილი ცვლილებების შესახებ;
- დედაქალაქში სატრანსპორტო მიმართულებით არსებული გამოწვევების შესახებ.

გარდა ამისა, გიორგი ჩაკვეტაძე, როგორც ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო''-ს წევრი და პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარე მონაწილეობდა სხვადასხვა პოლიტიკურ ღონისძიებასა და აქტივობაში.

მერიის საქალაქო სამსახურის პროექტების განმხილველი კომისია

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ 2015 წელს შექმნილი პროგრამების განმხილველი კომისიის წევრია.

კომისია თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამების **,,სპორტული ღონისძიებები" (კოდი 08.06.01) და ,,ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა" (კოდი 08.08.01) ფარგლებში შემოსულ პროექტებს განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას მათი დაფინანსების თაობაზე.**

საანგარიშო პერიოდში გაიმართა კომისიის **20** სხდომა. სულ სპორტისა და ახალგაზრდობის მიმართულებით განხილულია 267 პროექტი, აქედან 214 სპორტული, 18 საგანმანათლებლო და 24 ახალგაზრდული. **ამ ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო 28 190 ბენეფიციარმა, განხორციელებულ პროექტებზე კი 2 231 353 ათასი ლარი დაიხარჯა.**

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის საქმიანობა

2021 წლის 3 დეკემბრის, VII მოწვევის საკრებულოს პირველ სხდომით, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის შემადგენლობა 6 წევრით განისაზღვრა *(გიორგი ჩაკვეტაძე (კომისიის თავმჯდომარე), გივი ჩხარტიშვილი (კომისიის წევრი), ავთანდილ ცინცაძე (კომისიის წევრი), ვლადიმერ ბოჟაძე (კომისიის წევრი), აკაკი ალადაშვილი (კომისიის წევრი 2022 წლის 31 იანვრამდე) ირაკლი ეძგვერაძე (კომისიის წევრი) და ნინო კვიტაიშვილი (კომისიის წევრი)).*

კომისიის საქმიანობის პრიორიტეტს, თბილისის მასშტაბით, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროში ერთიანი პოლიტიკის გატარების ხელშეწყობა წარმოადგენს.

კომისიის კომპეტენციას განეკუთვნება სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება და/ან წარმოდგენილ პროექტებზე დასკვნის მომზადება იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც ეხება:

- ახალგაზრდულ საქმეთა სფეროში ერთიანი პოლიტიკის გატარებას, სპორტული ობიექტების რეაბილიტაციასა და ინფრასტრუქტურის განვითარებას;
- დედაქალაქში ახალგაზრდული, კულტურულ-სპორტული პროგრამებისა და პროექტების განხორციელებისთვის უცხოური ინვესტიციების მოზიდვას;
- ახალგაზრდებისთვის სამართლებრივი, ეკონომიკური და სოციალური მხარდაჭერის კომპლექსური ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებას;
- დედაქალაქში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პროპაგანდას, სპორტული და ტურისტული პროგრამების შემუშავებასა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას;
- დედაქალაქის მოქმედ და ვეტერან სპორტის მუშაკთათვის სხვადასხვა სოციალური პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას;

- ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობას;
- დედაქალაქში სამოქალაქო საზოგადოების განვითარების მხარდაჭერას.

კომისიის საქმიანობას ასევე განეკუთვნება შემდეგი საკითხები:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მონიტორინგი;
- მოქალაქეების მიღება და მათთვის კონსულტაციის გაწევა;
- დედაქალაქში არსებული და მშენებარე სპორტული ობიექტების მონიტორინგი;
- სამინისტროებთან, კომიტეტებთან, მუნიციპალიტეტებთან, რაიონულ გამგეობებთან, ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან, ფედერაციებთან და სხვა პირებთან რეგულარული კომუნიკაცია და დარგობრივი სამუშაო შეხვედრების ორგანიზება;
- დედაქალაქის საკრებულოს მაჟორიტარ წევრებთან შეხვედრები მათ რაიონებში სპორტული და ახალგაზრდული მიმართულებით არსებული საჭიროებების დადგენისა და ინიციატივების მოსმენის მიზნით;
- სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება;
- კომისიის სხდომების ორგანიზება, დასკვნების და ოქმების მომზადება;
- გამგეობებისა და საქალაქო სამსახურის საქმიანობის ანგარიშების მოსმენა;
- დარგობრივი ტენდერების მონიტორინგი;
- კომისიაში შემოსულ კორესპონდენციაზე შესაბამისი რეაგირება;
- კომისიის საერთაშორისო აქტივობებში ჩართულობა;
- დელეგაციების წევრობა და პროექტებში მონაწილეობა;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებული სპორტული და ახალგაზრდული იურიდიული პირების მონახულება და მათი საქმიანობის გაცნობა;
- საქველმოქმედო ღონისძიებების ორგანიზება;
- სხვადასხვა კალენდარული ღონისძიებისა და აქტივობის დაგეგმვა;
- წარმატებული სპორტსმენების წახალისება;
- საზღვარგარეთის ქალაქებთან, მუნიციპალიტეტებთან ურთიერთობების დამყარება და პარტნიორ ქალაქებთან კომუნიკაციის გაუმჯობესება.

კომისიის სხდომები

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ საანგარიშო პერიოდში ჩაატარა 13 სხდომა და განიხილა **52** საკითხი, მათ შორის: **34** განკარგულების და **10** დადგენილების პროექტი, ანგარიშები, კომისიის ინიციატივები, პროექტები და სხვადასხვა წერილები/განცხადებები.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, კომისიის მიერ მომზადებულია **20** სამართლებრივი დასკვნა და **13** კომისიის სხდომის ოქმი.

2022 წლის ბიუჯეტით პროგრამებისთვის გამოყოფილია **41,294.3 ათასი ლარი**.

თანამედროვე სპორტული ინფრასტრუქტურის მოსაწყობად, სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარებისთვის და ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციისთვის, მიღებული იქნა სხვადასხვა გადაწყვეტილება, მათ შორის:

- **საკრებულოს N3-3 დადგენილებით** (N20-90 დადგენილებაში ცვლილება), სპორტის დარგში მოღვაწე ორგანიზაციებისთვის, რომელთა უშუალო საქმიანობას მოიცავს სპორტული ობიექტების ფუნქციონირება, მუნიციპალიტეტმა უფლებამოსილების ფარგლებში **ქონების გადასახადზე შეღავათიანი განაკვეთი დაუდგინა;**
- **საკრებულოს N357-ე განკარგულებით,** ქ. თბილისში, დიღმის მასივში, III კვარტალში მდებარე 13 039 კვ.მ უძრავი ქონების მიწის ნაკვეთი პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად (1₾-ად), თანამედროვე სტანდარტების საფეხბურთო მოედნის მოწყობისა და ამ ობიექტისთვის სპორტული პროფილის მუდმივად შენარჩუნების მიზნით, გადაეცა ფეხბურთის ფედერაციას, სადაც ქალთა და მოყვარულ ფეხბურთის გუნდებთან ერთად, უფასოდ ისარგებლებენ ადგილობრივი საფეხბურთო სკოლებიც; აღნიშნული სივრცე - **„ავაზას ბაზა" დედაქალაქის მუნიციპალიტეტმა** ადგილმონაცვლეობის გზით კერძო კომპანიისგან გამოისყიდა;
- **საკრებულოს N356-ე განკარგულებით,** სარაჯიშვილის ქუჩა N89-ში არსებული 1095 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად (1₾-ად), გადაეცა საქართველოს რაგბის კავშირს, საპრივატიზაციო პირობად კი განისაზღვრა მიწის ნაკვეთის ტერიტორიის განვითარება და ფუნქციონირება სპორტული დანიშნულებით;
- **საკრებულოს N37-ე განკარგულებით, სპორტული ინფრასტრუქტურის მოსაწყობად** დიდ დიღომში არსებული მიწის ნაკვეთი პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაეცა **საქართველოს საცხენოსნო ხალხური თამაშობების განვითარების ეროვნული ფედერაციას** მასზე სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით;
- **საკრებულოს N350-ე განკარგულებით, ა(ა)იპ მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრი** დაფუძნდა, რომელიც მოიცავს დიდი დიღმის მულტიფუნქციური ცენტრის სტრუქტურას და უზრუნველყოფს ცენტრის გამართულად ფუნქციონირებას;
- **საკრებულოს N10-47 დადგენილებით** (N74-4 დადგენილებაში ცვლილება) სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსების წესს დაემატა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტების უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში დაფინანსების წესი და პირობები;
- **საკრებულოს N175-ე განკარგულებით,** სამი სპორტული და ერთი ახალგაზრდული მუნიციპალური ა(ა)იპის რეორგანიზაცის **შედეგად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრი" შეიქმნა;**
- **საკრებულოს N13-76 დადგენილებით,** შეიქმნა ევროპული სტანდარტის ახალი პროგრამა **სპორტი უფროსი თაობისთვის,** რაც 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირებისთვის ფიტნესით/საცურაო აუზით უფასოდ სარგებლობის შესაძლებლობაა;

- **საკრებულოს N4-7 დადგენილებით,** კომისიის რეკომენდაციით, ქალაქ თბილისის ბიუჯეტში 2022 წელს **მწვრთნელთა მხარდაჭერის პროგრამის** მიმართულებით პირველად მოხდა აგვისტოს თვის ანაზღაურება და პროგრამა 12-თვეზე ფინანსდება.

ასევე, კომისიის სხდომების ფარგლებში მოისმინეს შემდეგი ანგარიშები:

- საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 2021 წლის საქმიანობის და დაგეგმილი პროექტების შესახებ;
- **მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ,** 2021 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,**მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის" 2021 წლის საქმიანობის;**
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის **,,მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის" 2021 წლის საქმიანობის;**
- მუნიციპალიტეტის **2021 წლის ბიუჯეტის შესრულების** წლიური ანგარიში;
- **მერიის კულტურის ,განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ,** 2022 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის და მიმდინარე პროექტების შესახებ.

კომისიის სხდომები საჯაროა და მასზე დასწრების უფლება ყველა მოქალაქეს აქვს.

კომისიის ინიციატივები

ადგილობრივი თვითმმართველობის ახალგაზრდული ფორუმი

კომისიის ინიციატივით 2018 წელს დაფუძნდა ადგილობრივი თვითმმართველობის ახალგაზრდული ფორუმი, რომლის მიზანია საქართველოს 64 მუნიციპალიტეტის საკრებულოს ახალგაზრდა წევრთა ერთიან ფორმატში რეგულარული შეხვედრების გზით, ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრული პრიორიტეტების შესრულების ხელშეწყობა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს შორის თანამშრომლობის გაუმჯობესება.

ღონისძიებების ნაწილი ვერ ჩატარდა პანდემიის გამო, თუმცა ფორუმის ფარგლებში დაგეგმილია და განხორციელდება სამომავლო აქტივობები.

სასკოლო ლიგა 2022

კომისიის ინიციატივით, თბილისის მერიის, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და სააფთიაქო ქსელის პსპ მხარდაჭერით და ა(ა)იპ სპორტის მართვის ასოციაციის ორგანიზებით, ,,სასკოლო ლიგა 2022" გაზრდილი მასშტაბით, სპორტის სამ სახეობაში გაიმართა და თბილისის გარდა რუსთავის და ბათუმის ჯამში **150 სკოლის 2000-ზე მეტი მოსწავლე** ჩაერთო.

მინიფეხბურთში - პროექტი თბილისის და რუსთავის 5-ლოკაციაზე მიმდინარეობდა და ჩატარებულია 500-მდე მატჩი. თბილისში მინი ფეხბურთის ლიგასთან ერთად წელს

პირველად ჩატარდა სატესტო ტურნირები ხელბურთსა და პნევმატური იარაღით სროლაში. ასევე, მინი ფეხბურთის სასკოლო ლიგას დაემატა **აჭარის რეგიონი,** სადაც **24 სკოლა და 300-მდე მოსწავლე** მონაწილეობდა.

პნევმატური იარაღით სროლაში სასკოლო ლიგა 2022 - სატესტო რეჟიმში პირველად ჩატარდა და მასში თბილისის 17 საჯარო და კერძო სკოლა მონაწილეობდა. პროექტში ვაჟთა და გოგონათა წყვილები და ინდივიდუალური სპორტსმენები ჩაერთნენ.

ხელბურთის სასკოლო ლიგა 2022 - სატესტო რეჟიმში წელს პირველად ჩატარდა და მასში თბილისის 18 საჯარო და კერძო სკოლა მონაწილეობდა.

პროექტის მიზანი მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა და სკოლებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციაა. სასკოლო ლიგის ბაზაზე შექმნილია საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები, რომელიც საერთაშორისო ჩემპიონატებში მონაწილეობს. მსგავსი ტიპის ღონისძიებები ლიგისა და ფლეიოფის გაერთიანებული სისტემითა და ელექტრონული ტექნოლოგიების აქტიური გამოყენებით (sfl.ge) 2019 წლიდან წარმატებით ხორციელდება.

კამპანია „წარმატებული სპორტსმენები საკრებულოში"

კომისიის ინიციატივით, საკრებულომ უმასპინძლა და სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის მადლობა გადაუხადა:

- **ევროპის ფუტსალის ჩემპიონატის მონაწილე საქართველოს ეროვნულ ნაკრებს:** დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად ფუტსალის ეროვნული ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე გავიდა, ჯგუფური ეტაპი წარმატებით დაძლია და ევროპის საუკეთესო რვა გუნდს შორის მოხვდა;
- **საქართველოს ძიუდოს ეროვნულ ნაკრებს, რომელმაც** 2022 წლის ევროპის ჩემპიონატზე, ორი ოქროს და ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა და საერთო გუნდურ ჩათვლაში მესამე ადგილი დაიკავა. აღსანიშნავია, რომ პირველად დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, ქართველმა ქალმა ძიუდოისტმა, ეთერ ლიპარტელიანმა ევროპის ჩემპიონატზე საპრიზო ადგილი მოიპოვა;
- **ფარიკაობაში 2022 წლის ევროპის ჩემპიონს და მსოფლიო პრიზიორს სანდრო ბაზაძეს** და ფარიკაობის ფედერაციის წარმომადგენლებს;
- **საქართველოს ქალ მოჭადრაკეთა ნაკრებს** - რომელმაც რიგით 44-ე მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე ვერცხლის მედალი მოიპოვა. ნაკრების წევრები: ნანა ძაგნიძე, ნინო ბაციაშვილი, ლელა ჯავახიშვილი, სალომე მელია და მერი არაბიძე; ასევე გუნდის კაპიტანი დავით ჯოჯუა და ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი გია გიორგაძე.
- **საქართველოს ქალ პარამოფარიკავეთა ნაკრებს** - პარასპორტსმენებმა პიზის მსოფლიო თასზე წარმატებით იასპარეზეს, სადაც ირმა ხეცურიანმა და ნინა თიბილაშვილმა ორი ოქროს და ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეტლით მოფარიკავეთა ნაკრები გუნდურ ასპარეზობაში მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონია.

კამპანიის ,,წარმატებული სპორტსმენები საკრებულოში'' ფარგლებში სპორტის სხვადასხვა სახეობის წარმომადგენლების ჩართულობით ღონისძიებები რეგულარულად ტარდება.

საქველმოქმედო აქციები

თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია ჩაერთო საქველმოქმედო აქციაში ,,ახალგაზრდები უკრაინისთვის''.

აქციის ფარგლებში თბილისსა და საქართველოს 8 დიდ ქალაქში ახალგაზრდების ჩართულობით ჰუმანიტარული ტვირთი (საკვები, ტანსაცმელი, პირველადი მოხმარების ნივთები და სხვა) შეგროვდა და უკრაინაში გაიგზავნა.

კომისია მონაწილეობს სხვადასხვა საქველმოქმედო აქციაში.

სპორტის საერთაშორისო დღე

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია, საკრებულოს თავმჯდომარესთან ერთად სპორტის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, თბილისში მოღვაწე სამბოს უხუცეს მწვრთნელ გაიოზ ყაყიჩაშვილსა და ხუთჭიდის ახალგაზრდა მწვრთნელ ნათია მაჭავარიანს სავარჯიშო სივრცეში ესტუმრა, საქმიანობისთვის და ქართული სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის მადლობა გადაუხადა. კომისია 6 აპრილს, სპორტის საერთაშორისო დღის ფარგლებში სისტემატიურად უერთდება ,,თეთრი ბარათის კამპანიას''.

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე

12 აგვისტოს კომისია თბილისის მუნიციპალიტეტში მომუშავე ახალგაზრდებს სამუშაო გარემოში ესტუმრა და ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე მიულოცა, წარმატებები უსურვა მომავალ საქმიანობაში და მადლობა გადაუხადა ქალაქისთვის გაწეული შრომისთვის: ახალგაზრდა მებაღეს, ცხოველთა მონიტორინგის მაშველს, თბილსერვისის თანამშრომელს, ჩოგბურთის მწვრთნელს, მეტროს მემანქანეს, ტრანსპორტის კონტროლიორსა და საქალაქო უსაფრთხოების თანამშრომელს.

მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების და მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოების მონიტორინგი

მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში **8 სპორტული** და **ახალგაზრდული** არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირია, ა(ა)იპებ-ი აერთიანებს **22 სტრუქტურულ** ერთეულს, შესაბამისი ინფრასტრუქტურით. მათი საქმიანობის გაცნობას და მონიტორინგს კომისია პერიოდულად ახორციელებდა.

გასვლითი შეხვედრა/მონიტორინგის ფარგლებში კომისიის თავმჯდომარე საკრებულოს წევრებთან და მერიის წარმომადგენლებთან ერთად ობიექტების მუშაობის პროცესს, სარეაბილიტაციო სამუშაოებს, ინვენტარით აღჭურვასა და სხვა აქტივობებს ეცნობოდა.

ასევე, კომისია სისტემატიურად ანახლებს სპორტული ობიექტების ბაზებს, როგორც მშენებარე, ასევე წლების წინ გასხვისებული, დაბრუნებული და მოქმედი ობიექტებისა და აწარმოებს თბილისის მაშტაბით არსებული სპორტული მოედნების აღრიცხვას.

მზიურის სტადიონის მონიტორინგი - კომისიის თავმჯდომარემ კოლეგებთან ერთად მოინახულა ,,ა(ა)იპ იმედის სპორტული ცენტრის'' შემადგენლობაში შესული მზიურის სპორტული მოედანი, რომელიც FIFA-ს სტანდარტების შესაბამისად მოეწყო და ყველა საჭირო ინფრასტრუქტურა განახლდა (საფარი, გასახდელები, განათების სისტემა, ტრიბუნები და ა.შ.).

დიდუბის რაიონში დაბრუნებული სპორტული ინფრასტრუქტურის მონიტორინგი - საკრებულოს წევრები ადგილზე გაეცნო მონაცვლეობის წესით დაბრუნებული სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების შესაძლებლობებს, კერძოდ კი, დიღმის მასივში მდებარე აუზსა და ჩოგბურთის კორტებს, რომელთა სამომავლო რეაბილიტაციის პროცესი დაიგეგმა.

საანგარიშო პერიოდში არაერთი სამუშაო შეხვედრა ჩატარდა სპორტისა და ახალგაზრდობის სექტორის წარმომადგენლებთან, მათ შორის:

სამუშაო შეხვედრა ახალგაზრდული მიმართულებით

საერთაშორისო ორგანიზაცია ჰელფინგ ჰენდის ინიციატივით, გიორგი ჩაკვეტაძე პროექტის - ,,მოზარდი მოხალისეების ჩართულობა პანდემიის გამოწვევის საპასუხოდ'' ფარგლებში, თბილისის კლუბის ლიდერებს შეხვდა. პროექტის მონაწილეებს მუნიციპალიტეტის საქმიანობის სპეციფიკა გააცნო და განხორციელებულ და დაგეგმილ რეფორმებზე ესაუბრა.

პროექტი გაეროს ბავშვთა ფონდისა და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პარტნიორობით როგორც თბილისში, ასევე საქართველოს 63 მუნიციპალიტეტში ხორციელდება. პროექტის ფარგლებში ახალგაზრდული კლუბები დაფუძნდა.

სამუშაო შეხვედრა საწყლოსნო სახეობების საკითხებზე

კომისიის თავმჯდომარე, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარესთან და თბილისის მერიის სამსახურის ხელმძღვანელებთან ერთად კერძო სექტორის წარმომადგენლებს შეხვდა.

შეხვედრაზე მხარეებმა საწყლოსნო სახეობათა მიმართულებით სპორტული ინფრასტრუქტურის თანამედროვე სტანდარტებით განვითარებაზე იმსჯელეს. კერძო სექტორის წარმომადგენლებმა, სახელმწიფოსთან ერთად ამ პროცესში ჩართულობის მზაობა გამოთქვეს.

სამუშაო შეხვედრა სოხუმის დინამოს წარმომადგენლებთან

სამუშაო შეხვედრა გამართა დინამო სოხუმის ხელმძღვანელ პირებთან. შეხვედრაზე საუბარი შეეხო კლუბისთვის სპორტული ინფრასტრუქტურის საკითხს და მუნიციპალიტეტის მხრიდან ხელშემწყობ ღონისძიებებს.

სამუშაო შეხვედრა ფარიკაობის ფედერაციის წარმომადგენლებთან

სამუშაო შეხვედრა გამართა საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის წარმომადგენლებთან. მხარეებმა განიხილეს მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობის გაღრმავების საკითხი და სხვადასხვა პროექტების შესახებ იმსჯელეს.

საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ შეხვედრებში/ფორუმებში/ასამბლეებში მონაწილეობა

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე აქტიურად იყო ჩართული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ შეხვედრებში, მონაწილეობდა სხვადასხვა ფორუმსა თუ ასამბლეაში და ასევე, მასპინძლობდა მათ დელეგაციებს.

ახალგაზრდა სოციალისტთა საერთაშორისო გაერთიანების (IUSY) დელეგაციის ვიზიტი

კომისიის თავმჯდომარის ინიციატივით საკრებულოში ახალგაზრდა სოციალისტთა საერთაშორისო გაერთიანების (IUSY) „მშვიდობის კომიტეტის" (PTN) დელეგაციას უმასპინძლეს, რომელსაც IUSY-ს გენერალური მდივანი ბრუნო გონსალვესი ხელმძღვანელობდა.

ყურადღება გამახვლილდა რეგიონში არსებული კონფლიქტების გადაწყვეტის მშვიდობიან გზებზე, პროცესში ახალგაზრდობის ჩართულობასა და ხალხთა შორის დიალოგის მნიშვნელობაზე.

თბილისთან დაძმობილებული ქალაქ ნანტის დელეგაციის ვიზიტი საკრებულოში

გიორგი ჩაკვეტაძემ კოლეგებთან ერთად თბილისის საკრებულოში, საქართველოს დედაქალაქთან დაძმობილებული ქალაქ ნანტის დელეგაციის წევრებს უმასპინძლა.

ნანტის მუნიციპალური საბჭოს წევრები და მერიის წარმომადგენლები დედაქალაქს თბილისობასთან დაკავშირებით ეწვივნენ და შეხვედრები სხვადასხვა ორგანიზაციაში გამართეს.

შეხვედრაზე ქალაქებს შორის სამომავლო თანამშრომლობის მიმართულებები და საერთო პროექტების შესაძლებლობები განიხილეს. მხარეებმა ერთმანეთს მნიშვნელოვანი პროგრამებისა და არსებული გამოწვევების მართვის პრაქტიკული გამოცდილება გაუზიარეს. თბილისსა და ნანტს შორის დაძმობილების ხელშეკრულება 1979 წელს გაფორმდა.

ღონისძიებები და შეხვედრები

გიორგი ჩაკვეტაძე მუდმივად ესწრებოდა საკრებულოს, მერიის, რაიონული გამგეობების, სპორტული და ახალგაზრდული ა(ა)იპ-ების, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებს, შეხვედრებსა და სხვადასხვა სახის ცერემონიებს. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ის მსგავსი ტიპის 100-მდე შეხვედრას დაესწრო, მათ შორის:

სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამის პრეზენტაცია

გიორგი ჩაკვეტაძე ა(ა)იპ ახალგაზრდების სოციალური მეწარმეობის პროექტების მხარდაჭერის პროგრამის პრეზენტაციას დაესწრო.

პროგრამის მიზანია ახალგაზრდების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება, მათი დასაქმების ხელშეწყობა და სამეწარმეო უნარების მქონე ახალგაზრდების ინოვაციური და შემოქმედებითი იდეების რეალიზება.

ქალთა სპორტის ხელშეწყობის მიმართულებით დაგეგმილი პროექტების პრეზენტაცია

კომისიის თავმჯდომარე ქალთა სპორტის ხელშეწყობის მიმართულებით განხორციელებული და დაგეგმილი პროექტების პრეზენტაციას დაესწრო.

პრეზენტაციაზე 2022 წელს თბილისის ბიუჯეტში ქალთა სპორტის განვითარებისთვის ხელშემწყობ სიახლეებზე ისაუბრეს, კერძოდ კი, ქალთა კლუბების განვითარებისა და ხელშეწყობის მიმართულებით დაგეგმილ პროექტებზე.

ლილო არენის გახსნა

გიორგი ჩაკვეტაძე ახლად აშენებულ ლილო არენაზე ,,დრიფტში საქართველოს 2022 წლის ეროვნული ჩემპიონატის" და არენის გახსნის ღონისძიებას დაესწრო.

აღნიშნული ტერიტორია მუნიციპალიტეტმა საავტომობილო სპორტის ფედერაციას უსასყიდლოდ გადასცა ავტოდრომის მოწყობის მიზნით. ფედერაციამ მოზიდული ინვესტიციით უმოკლეს ვადებში ააშენა ავტოდრომი ყველა საჭირო ინფრასტრუქტურით.

სტუ-ს 100 წლის იუბილე

საკრებულოს წევრი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 100-წლის იუბილესადმი მიძღვნილი სპორტული აქტივობების ღონისძიებას დაესწრო, მონაწილეებს სიტყვით მიმართა და სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებულების დაჯილდოებაში მიიღო მონაწილეობა.

მზიურის სტადიონის გახსნა

გიორგი ჩაკვეტაძე მზიურის საფეხბურთო სტადიონის გახსნას დაესწრო, სადაც ტურნირ "MASTER LEAGUE"-ის ახალმა სეზონმა აიღო სტარტი. სტადიონი FIFA-ს სტანდარტების

შესაბამისად აშენდა. ტურნირის პირველი მატჩი „თბილისის მერიისა'' და „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის'' გუნდებს შორის შედგა.

რაგბის კლუბ ხვამლის ფინალური მატჩი

გიორგი ჩაკვეტაძე რაგბში საქართველოს ჩემპიონატის მატჩს დაესწრო, სადაც თბილისის მუნიციპალიტეტის გუნდი ,,ხვამლი'' პირველი ლიგის ჩემპიონი გახდა, რითაც დიდი 10-ში (საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგა) გადაინაცვლა.

აფხაზეთის დღე

გიორგი ჩაკვეტაძე ,,აფხაზეთობისადმი'' მიძღვნილ ღონისძიებას დაესწრო, რომელიც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ორგანიზებით გაიმართა. „აფხაზეთის დღედ'' (23 მაისი) სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, მოციქულ სვიმონ კანანელის ხსენების დღე დადგინდა.

პნევმატური იარაღით სროლაში სასკოლო ლიგა 2022-ის ფინალისტების დაჯილდოება

კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩაკვეტაძემ ,,პნევმატური იარაღით სროლაში'' გამარჯვებულები დააჯილდოვა. პნევმატური იარაღით სროლაში სასკოლო ტურნირი სატესტო რეჟიმში 2022 წელს პირველად გაიმართა და მასში თბილისის 17 საჯარო და კერძო სკოლა მონაწილეობდა.

პროექტი თბილისის მერიის, საქართველოს სროლის სახეობათა ფედერაციისა და კერძო კომპანიების მხარდაჭერითა და სპორტის მართვის ასოციაციის ორგანიზებით, ნინო სალუქვაძის სახელობის ტირში ჩატარდა.

ქალაქ რუსთავში სასკოლო ლიგა 2022-ის პრეზენტაცია

ქალაქ რუსთავში ,,სასკოლო ლიგა 2022'' პრეზენტაციას გაიმართა. ღონისძიებაში მონაწილეობა გიორგი ჩაკვეტაძემ მიიღო. რუსთავი სასკოლო ლიგის პროექტში წელს პირველად ჩაერთო და მასში რუსთავის 24 სკოლის 250-მდე მოსწავლე მონაწილეობდა, რომლებიც ფინალურ ეტაპზე თბილისის ფინალისტ სკოლებს შეხვდნენ.

შშმ პირთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღე

შშმ პირთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღეს (14 ივნისი) ა(ა)იპ პარასპორტის განვითარების ცენტრს საკრებულოს წევრები ესტრუმრნენ და საწვრთნელ პროცესში ჩართული პარასპორტსმენები და მწვრთნელები მოინახულეს. ცენტრი რეგიონში ერთადერთი სპორტული ობიექტია, სადაც 15 სახეობაში 300-ზე მეტი პარასპორტსმენი ვარჯიშობს.

შეხვედრა საბურთალოს რაიონში მცხოვრებ ახალგაზრდებთან

გიორგი ჩაკვეტაძე საბურთალოს რაიონში მცხოვრებ ახალგაზრდებს კოლეგებთან ერთად შეხვდა. ახალგაზრდებთან შეხვედრაზე სპორტისა და ახალგაზრდობის მიმართულებით დედაქალაქში არსებულ პროგრამებსა და პროექტებზე იმსჯელეს.

წარჩინებული მოსწავლეების დაჯილდოების ღონისძიება დიდუბის რაიონში

საკრებულოს წევრმა დიდუბის რაიონში მცხოვრები წარჩინებული მოსწავლეების დაჯილდოების ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა. წლევანდელი მონაცემებით დიდუბის რაიონში სკოლა წარჩინებით 181-მა მოსწავლემ დაამთავრა ოქროს და ვერცხლის მედალზე.

თბილისის სტუდენტური ფესტივალი 2022

6 ივლისს, ეთნოგრაფიულ მუზეუმში ,,სტუდენტური ფესტივალი 2022"-ის დასკვნითი ღონისძიება და გამარჯვებული უნივერსიტეტების დაჯილდოების ცერემონია გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა საკრებულოს წევრებთან ერთად გიორგი ჩაკვეტაძემ მიიღო.

თბილისის მერიისა და კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით განხორციელებულ პროექტში 34 უნივერსიტეტის 50 000-მდე სტუდენტი ჩაერთო.

ევრობასკეტის თასი საკრებულოში

თბილისის საკრებულოში ,,ტროფი ტურის'' ფარგლებში, ევრობასკეტის თასს უმასპინძლეს. 1-7 სექტემბერს თბილისში ევრობასკეტის ჯგუფური ეტაპი გაიმართა.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა თაობის კალათბურთელმა, ეროვნული ნაკრების წევრებმა, ვეტერანებმა და ახალგაზრდებმა. ღონისძიების ფარგლებში საქართველოს ნაკრების წევრებს და ვეტერან კალათბურთელებს სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ.

რიყეზე საქართველოს ფანზონა გაიხსნა

1-7 სექტემბერს თბილისში ევრობასკეტის ჯგუფური ეტაპი გაიმართა, რის ფარგლებშიც რიყის პარკში საქართველოს ნაკრების მხარდამჭერი ,,ფანზონა'' გაიხსნა, გიორგი ჩაკვეტაძე გახსნით ღონისძიებას დაესწრო. ევრობასკეტ 2022-ზე ,,ა'' ჯგუფის თამაშებს, სადაც ესპანეთის, თურქეთის, ბელგიის, ბულგარეთის, მონტენეგროსა და საქართველოს ნაკრები გუნდები იღებდნენ მონაწილეობას, ახლადაშენებულმა ,,თბილისი არენა''-მ უმასპინძლა.

თბილსერვის ჯგუფის ახალი ტექნიკის პრეზენტაცია

გიორგი ჩაკვეტაძე თბილისის დასუფთავებისთვის განკუთვნილი ახალი ტექნიკის პრეზენტაციას დაესწრო. შემუშავებულია მუნიციპალური ნარჩენების მართვის 5-წლიანი სამოქმედო გეგმა და სტრატეგია. ამ მხრივ მნიშვნელოვანი საკითხი გამართული ავტოპარკია. EBRD-ის მხარდაჭერით „თბილსერვის ჯგუფმა" 74 ერთეული სპეცტექნიკა შეიძინა.

სასკოლო საგანმანათლებლო რესურსების ეფექტიანობის შეფასების პრეზენტაცია

კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩაკვეტაძე, საქართველოს პარლამენტში გამართულ სასკოლო საგანმანათლებლო რესურსების ეფექტიანობის შეფასების თემატური მოკვლევის შედეგების პრეზენტაციას დაესწრო. მოკვლევა პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის ინიციატივით ჩატარდა.

თბილისობა 2022

გიორგი ჩაკვეტაძემ 2022 წლის თბილისობის დღესასწაულთან დაკავშირებით დედაქალაქში დაგეგმილ სხვადასხვა აქტივობაში მიიღო მონაწილეობა. დღესასწაულის ფარგლებში თბილისს ეწვია დაძმობილებული ქალაქ ნანტის დელეგაცია, რომელთანაც სამუშაო შეხვედრა გაიმართა. 2022 წლის ,,საპატიო თბილისელი''-ს წოდება 20 ადამიანს მიენიჭა.

შეხვედრა თვითმმართველობებსა და უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის შესახებ

საკრებულოს წევრი ERASMUS+ მიერ თანადაფინანსებული პროექტის „მესამე მისიის ხარისხისა და შესაბამისობის განვითარება ქართულ უნივერსიტეტებში" (SQUARE) ფარგლებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ შეხვედრას დაესწრო.

განხილული კორესპონდენცია

საანგარიშო პერიოდის მანძილზე სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ განიხილა და მოამზადა **703 მასალა/კორესპონდენცია** და პროექტი. მათ შორის არის კომისიაში შემოსული, საკრებულოს სხდომაზე განსახილველი **507 მასალა** და იურიდიული პირებისა და მოქალაქეებისგან **28 წერილი/განცხადება.**

რაც შეეხება გასულ კორესპონდენციას, ის ჯამში შეადგენს **60-ს**. მათ შორის, კომისიის მიერ მომზადებული და გარე უწყებებში გაგზავნილი წერილების რაოდენობა შეადგენს **24-ს**, ხოლო საკრებულოს შიდა უწყებებისთვის გაგზავნილი წერილების რაოდენობა - **104-ს.**

მოქალაქეთა მიღება

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სამდივნო ორგანიზებას უწევს კომისიის თავმჯდომარესთან და წევრებთან მოქალაქეთა მიღებას, რომელიც ყოველდღიურად ხორციელდება. საანგარიშო პერიოდში პირისპირი შეხვედრა შედგა **300-მდე** მოქალაქესთან და იურიდიულ პირთან, რომლებსაც შესაბამისი დახმარება/კონსულტაცია გაეწიათ.

500-ზე მეტ მოქალაქესთან განხორციელდა სატელეფონო კონსულტაცია და დაინტერესებულ პირებს შესაბამისი განმარტებები მიეცათ სხვადასხვა საკითხზე.

დამატებითი ინფორმაცია

კომისიის სამდივნო

კომისიის საქმიანობას უზრუნველყოფს სამდივნო, რომლის ფუნქცია/მოვალეობებში შედის სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება და განხილვა, ამ პროექტებზე შენიშვნების,

წინადადებების და დასკვნების მომზადება, ღონისძიებებისა და მოქალაქეთა მიღების ორგანიზება, საკონსულტაციო და ტექნიკური საქმიანობის უზრუნველყოფა და სხვა.

საზოგადოებასთან ურთიერთობა

ძირითადი ინფორმაცია ქვეყნდება კომისიისა და გიორგი ჩაკვეტაძის "Facebook" გვერდებზე და მის მართვას უზრუნველყოფს კომისიის სამდივნო. ასევე, საკრებულოს პრეს-სამსახური უზრუნველყოფს სხვადასხვა აქტივობის გაშუქებას. მათ შორის, აქტივობების საკრებულოს ოფიციალურ ვებ-გვერდსა და სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებაზე განთავსებას.

საანგარიშო პერიოდში საქმიანობის შესახებ ინფორმაცია და სხვადასხვა საკითხი გაშუქდა:

- **2021 წლის 3 დეკემბერი:** პრეს-სამსახური და ტელევიზიები - *საკრებულოს პირველი სხდომა;*
- **2021 წლის 7 დეკემბერი**: პრეს-სამსახური, ტელევიზიები, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - *საკრებულოს კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე დედაქალაქის მთავრობის შემადგენლობა განიხილეს;*
- **2021 წლის 21 დეკემბერი:** პრეს-სამსახური და სოციალური ქსელები - *საკრებულოში სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა გაიმართა;*
- **2021 წლის 24 დეკემბერი:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - *საკრებულოში სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა გაიმართა;*
- **2021 წლის 28 დეკემბერი:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - *საკრებულოში სასკოლო ლიგის დაჯილდოება გაიმართა;*
- **2021 წლის 28 დეკემბერი:** ტელეკომპანია პალიტრა, გადაცემა ,,რეზიუმე'' მერაბ მეტრეველთან - *თემა ,,ქალაქ თბილისის 2022 წლის ბიუჯეტი";*
- **2021 წლის 30 დეკემბერი:** პრეს-სამსახური - *წარმატებული თბილისელი სპორტსმენების დაჯილდოება;*
- **2022 წლის 20 იანვარი**: პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - *გიორგი ჩაკვეტაძემ მზიურის საფეხბურთო სტადიონის სამშენებლო სამუშაოები დაათვალიერა;*
- **2022 წლის 25 იანვარი:** პრეს-სამსახური და სოციალური ქსელები - *საკრებულოში ორი კომისიის გაერთიანებული სხდომა გაიმართა;*
- **2022 წლის 15 თებერვალი:** პრეს-სამსახური და სოციალური ქსელები - *საკრებულოში სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა გაიმართა;*
- **2022 წლის 5 მარტი:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - *გიორგი ჩაკვეტაძე სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამის პრეზენტაციას დაესწრო;*
- **2022 წლის 7 მარტი**: პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - *ქალთა სპორტის ხელშეწყობის მიმართულებით დაგეგმილი პროექტების პრეზენტაცია გაიმართა;*

- **2022 წლის 16 მარტი:** პრეს-სამსახური, ტელევიზიები, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - *საკრებულოში საქართველოს ფუტსალის ეროვნულ ნაკრებს უმასპინძლეს;*
- **2022 წლის 18 მარტი**: პრეს-სამსახური და სოციალური ქსელები - *საკრებულოში სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა გაიმართა;*
- **2022 წლის 18 მარტი:** საინფორმაციო სააგენტოები - გიორგი ჩაკვეტაძე - *„ომით ხელის მომთბობი ნაციონალური მოძრაობის ხელწერა უცვლელია";*
- **2022 წლის 3 აპრილი**: პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - *„ლილო არენა" 2022 წლის საქართველოს დრიფტის სერიებით გაიხსნა;*
- **2022 წლის 6 აპრილი:** პრეს-სამსახური, ტელევიზიები, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - *საკრებულოს წევრებმა სპორტის საერთაშორისო დღე დამსახურებულ მწვრთნელებს მიულოცეს;*
- **2022 წლის 7 აპრილი:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - *საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 100 წლის იუბილეს ფარგლებში სპორტის საერთაშორისო დღე აღინიშნა;*
- **2022 წლის 15 აპრილი:** პრეს-სამსახური და სოციალური ქსელები - *კომისიის სხდომაზე ლევან მიქავას და ირაკლი გვილავას მოუსმინეს;*
- **2022 წლის 18 აპრილი:** პრეს-სამსახური, ტელევიზიები, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - *გიორგი ჩაკვეტაძე „ხელბურთში სასკოლო ლიგის" ფინალურ მატჩს დაესწრო;*
- **2022 წლის 19 აპრილი:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - *საკრებულოში თბილისის კლუბის 25 ლიდერს უმასპინძლეს;*
- **2022 წლის 6 მაისი:** პრეს-სამსახური და სოციალური ქსელები - *საკრებულოში სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა გაიმართა;*
- **2022 წლის 9 მაისი:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - *გიორგი ჩაკვეტაძემ „პნევმატური იარაღით სროლაში სასკოლო ლიგა 2022"-ის ფინალის გამარჯვებულები დააჯილდოვა;*
- **2022 წლის 10 მაისი:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - *საკრებულოს წევრებმა თბილისისთვის დაბრუნებული ინფრასტრუქტურა დაათვალიერეს;*
- **2022 წლის 20 მაისი:** პრეს-სამსახური, ტელევიზიები, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - *საკრებულოში საქართველოს ძიუდოს ეროვნულ ნაკრებს უმასპინძლეს;*
- ***2022 წლის 20 მაისი:*** პრეს-სამსახური, ტელევიზიები, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - *საკრებულოში „სასკოლო ლიგა 2022"-ის პრეზენტაცია და მინი ფეხბურთის ლიგის ფინალური ეტაპის კენჭისყრა გაიმართა;*
- **2022 წლის 8 ივნისი:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - *საკრებულოში ქართულ-შვეიცარიულ საერთაშორისო საზაფხულო სკოლის წარმომადგენლებს უმასპინძლეს;*

- **2022 წლის 10 ივნისი:** პრეს-სამსახური და სოციალური ქსელები - *სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომაზე 2 საკითხი განიხილეს;*
- **2022 წლის 10 ივნისი:** საინფორმაციო სააგენტოები - *გიორგი ჩაკვეტაძე - ,,მჯერა, ევროკავშირი გადმოდგამს ნაბიჯს არამხოლოდ ჩვენკენ, არამედ გადმოდგამს ნაბიჯს ჩვენი რეგიონის მშვიდობიანი განვითარების გასაგრძელებლად";*
- **2022 წლის 14 ივნისი:** პრეს-სამსახური, ტელევიზიები, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები – *პარასპორტსმენებთან შეხვედრა;*
- **2022 წლის 23 ივნისი:** რადიო იმედი - *თემა ,,საქართველოს ევროპული პერსპექტივა და ევროპული საბჭოს ისტორიული გადაწყვეტილება";*
- **2022 წლის 6 ივლისი:** პრეს-სამსახური - *თბილისში სტუდენტური ფესტივალი გაიმართა;*
- **2022 წლის 12 ივლისი:** პრეს-სამსახური და სოციალური ქსელები - *ორი კომისიის გაერთიანებული სხდომა გაიმართა;*
- **2022 წლის 13 ივლისი**: პრეს-სამსახური, ტელევიზიები, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - *,,მინი ფეხბურთის სასკოლო ლიგა 2022"-ის ფინალური მატჩი გაიმართა;*
- **2022 წლის 13 ივლისი**: ტელეკომპანია მაესტრო, გადაცემა ,,დედაქალაქი" - *თემა სპორტისა და ახალგაზრდობის მიმართულება დედაქალაქში;*
- **2022 წლის 16 ივლისი**: ტელევიზიები და საინფორმაციო სააგენტოები - *გიორგი ჩაკვეტაძე საკრებულოს სხდომაზე - დარწმუნებული, ვარ, ის პერიოდი, რომელიც მოგვცა ევროკავშირმა წარმატებით იქნება გამოყენებული;*
- **2022 წლის 5 აგვისტო:** პრეს-სამსახური, ტელევიზიები, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - *საკრებულოში წარმატებული სპორტსმენების მიღება გაიმართა:*
- **2022 წლის 9 აგვისტო:** პრეს-სამსახური და სოციალური ქსელები - *საკრებულოში ორი კომისიის გაერთიანებული სხდომა გაიმართა;*
- **2022 წლის 12 აგვისტო:** პრეს-სამსახური, ტელევიზიები, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - *საკრებულოში ევრობასკეტის თასს უმასპინძლეს;*
- **2022 წლის 12 აგვისტო:** პრეს-სამსახური და საინფორმაციო სააგენტოები - *ახალგაზრდობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, გიორგი ჩაკვეტაძე მუნიციპალურ სამსახურებში დასაქმებულ ახალგაზრდა თანამშრომლებს შეხვდა;*
- **2022 წლის 18 აგვისტო:** პრეს-სამსახური, ტელევიზიები და საინფორმაციო სააგენტოები - *საკრებულოში საქართველოს ქალ მოჭადრაკეთა ნაკრებს უმასპინძლეს;*
- **2022 წლის 9 სექტემბერი**: საინფორმაციო სააგენტოები - გიორგი ჩაკვეტაძე - *,,სოციალურად დაუცველ სტუდენტებთან ერთად, სწავლის დაფინანსებას მრავალშვილიანი ოჯახის წევრი და შშმ სტუდენტებიც მიიღებენ";*
- **2022 წლის 15 სექტემბერი:** პრეს-სამსახური და სოციალური ქსელები - *საკრებულოში გიორგი ჩაკვეტაძემ, ზურაბ ჩიკვილაძემ და თბილისის მერიის წარმომადგენლებმა კერძო სექტორთან სამუშაო შეხვედრა გამართეს;*

- **2022 წლის 19 სექტემბერი:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - *საკრებულოში N220 საჯარო სკოლისთვის აფხაზეთის გმირის ზურაბ ძამუნაშვილის სახელის მინიჭებას დაუჭირეს მხარი;*
- **2022 წლის 21 სექტემბერი:** პრეს-სამსახური, ტელევიზიები, საინფორმაციო სააგენტოები და და სოციალური ქსელები - *საკრებულოში IUSY-ს მშვიდობის კომიტეტის (PTN) დელეგაციას უმასპინძლეს;*
- **2022 წლის 7 ოქტომბერი**: საინფორმაციო სააგენტოები - *გიორგი ჩაკვეტაძე - „ნაციონალური მოძრაობის ყველა დანაყოფს გამოუსწორებელი წარსული და ევროპული მომავლის მტრობა აერთიანებს";*
- **2022 წლის 11 ოქტომბერი:** პრეს-სამსახური, ტელევიზიები, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - *საკრებულოში საქართველოს ქალ პარამოფარიკავეთა წაკრებს უმასპინძლეს;*
- **2022 წლის 19 ოქტომბერი:** საინფორმაციო სააგენტოები და ტელევიზიები - *კახა კალაძეს საკრებულოს უმრავლესობის წევრების სრული მხარდაჭერა და თანადგომა აქვს;*
- **2022 წლის 19 ოქტომბერი:** *გიორგი ჩაკვეტაძე სტუმრად აჭარის ტელევიზიაზე;*
- **2022 წლის 24 ოქტომბერი:** ტელევიზიები - დედაქალაქის მერის საკრებულოში მოსვლასთან დაკავშირებით;
- **2022 წლის 26 ოქტომბერი:** პრეს-სამსახური, ტელევიზიები, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - *სპორტული ცენტრი „იმედის" ირგვლივ შექმნილ დეზინფორმაციასთან დაკავშირებით.*